პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 31 (6592)

14 თებერვალი 1980 წ. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



XIII OLYMPIC WINTER GAMES LAKE PLACID 1980

## თამაშების დაწყების წინ

## „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მოსკოვში"

საბჭოთა სპორტსმენები მზად არიან თეთრი ოლიმპიადა-80-ისთვის, თავს არ დაზოგავენ, რათა წარმატებით იასპარეზონ ლეიკ-პლესიდის ოლიმპიურ სარბიელზე. ამაზე ილაპარაკეს ჩვენმა ოლიმპიელებმა, მათმა მწვრთნელებმა 12 თებერვალს საბჭოთა სპორტული დელეგაციის ტრადიციულ კრებაზე, რომელიც მუდამ ტარდება ოლიმპიური თამაშების დაწყების წინ. იმ დღეს მათ ესტუმრა სოკ-ის სესიის მონაწილე მოსკოვის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ნოვიკოვი. **უდიდესი აღფრთოვანებით იქნა მიღებული დელეგაციის ხელმძღვანელის მიერ გადმოცემული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის კეთილი სურვილები საბჭოთა სპორტსმენებისადმი.**

ოლიმპიელთა სახელით გამოვიდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ფიგურულ სრიალში ნ. ლინიჩუკი და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ჰოკეისტი ვ. პეტროვი.

კრება მიმდინარეობდა სოფლის ერთ-ერთი კორპუსის ჰოლში. ჩვენი ოლიმპიელების მონდომებისა და გემოვნების წყალობით ეს უხალისო შენობა გამოცოცხლდა. მახვილგონივრული და ლამაზია კედლის გაზეთი. აქვე გაკრულია მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი პლაკატები, ჟღერს საყვარელი მელოდიები, ტელეეკრანზე უჩვენებენ ცნობილი არტისტების გამოსვლათა ვიდეოჩანაწერებს.

* * *

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის მორიგ სესიაზე, რომელიც ლეიკ-პლესიდის XIII თამაშების დაწყებამდე გაიმართა, კომიტეტის წევრებმა დიდი გულისყურით მოისმინეს ცნობა მოსკოვის ოლიმპიადისთვის მზადების შესახებ.

ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ნოვიკოვმა შეკრებილთ მოუთხრო ოლიმპიური ობიექტების მშენებლობის და რეკონსტრუქციის შესახებ. იმაზე, რომ ისინი, უკვე აღჭურვილნი არიან აუცილებელი ინვენტარით, სამსაჯო-საინფორმაციო აპარატურით, ილაპარაკა ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტის მზადებაზე, მონაწილეების, ოფიციალური პირების, სტუმრების, ჟურნალისტების, ტურისტების მიღების, დაბინავებისა და მომსახურების საკითხებზე.

ი. ნოვიკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოლიმპიადა 80-ის საორგანიზაციო კომიტეტი უმაღლეს სპორტულ, ორგანიზაციულ და ტექნიკურ დონეზე, ოლიმპიური ქარტიის წესების სრული შესაბამისობით ჩაატარებს ოლიმპიურ თამაშებს.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მოსკოვში", — ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი გამოსვლა, რაც სოკ-ის წევრებმა დიდი კმაყოფილებით მიიღეს.

სოკ-ის სესიაზე სიტყვით გამოვიდა, აგრეთვე მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. პრომისლოვი, რომელმაც განაცხადა, რომ მოსკოველები გულითად მიღებას მოუწყობენ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ყველა ჩამოსულს.

როგორც აპ-ს სააგენტო იუწყება, „სოკ-ის სესიაზე უკვე გამოსული 40 წევრიდან არც ერთს სიტყვაც არ დასცდენია მოსკოვის თამაშების გადატანის შესახებ."

სააგენტო აღნიშნავს, რომ სოკ-ის სამ წამყვან მოღვაწეს ვ. დაუმეს (გფრ), ჯ. უორელს (კანადა) და რ. ალექსანდერს (კენია) დაევალათ შეიმუშაონ პროექტი რეზოლუციისა, რომელიც უარყოფს აშშ-ს პრეზიდენტის ჯ. კარტერის მოწოდებას მოსკოვის ოლიმპიური თამაშების გადატანის ან შეცვლის შესახებ.

ვ. დაუმემ ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ ბოიკოტის ყოველგვარ მცდელობას და სოკ-ის დამოუკიდებლობა უნდა უზრუნველვყოთ".

ვიდრე სესია მიმდინარეობდა, ლეიკ-პლესიდში ჩამოსული 36 ქვეყნის თითქმის 2 ათასამდე სპორტსმენი ათასგვარი საზრუნავით იყო დაკავებული. ბევრს ბინის პრობლემა ჰქონდა გადასაწყვეტი, სხვები სავარჯიშოდ მიეშურებოდნენ. სპორტსმენთა საცხოვრებელი პირობები კი ამერიკის მთავრობას მაინცდამაინც კარგად ვერ ახასიათებს. ოლიმპიურ სოფელში თამაშების მონაწილეებისთვის გამოყოფილია აშკარად შეუფერებელი ბინები. სპორტსმენებს პრაქტიკულად უფანჯრო კამერებში ორ იარუსიან საწოლებზე მოუწევთ ძილი, სივიწროვე იმდენად საგრძნობია, რომ ოთახში ორი კაცი ძლივს უქცევს გვერდს ერთმანეთს.

28 კაცს ერთი საპირფარეშო და ერთი საშხაპე ემსახურება. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იქნებიან ისინი, ვისაც I სართულზე ცხოვრება მოუწევს. ცივი იატაკი და ცუდი ვენტილაცია, ნორმალური ტემპერატურის დაუცველობა ექიმებს მრავალ საზრუნავს უჩენს.

შეიძლება ესეც არის მიზეზი, რომ ავსტრიის, ნორვეგიის, ფინეთის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის გუნდების ხელმძღვანელებმა უარი თქვეს ოლიმპიურ სოფელში სპორტსმენთა შესახლებაზე და კერძო ბინები დაიქირავეს.

და მაინც, ოლიმპიადა თავის გზით მიდის. გუშინ აინთო თამაშების გახსნის სიმბოლო — ოლიმპიური ცეცხლი. ეს მოხდა იმ დროს, როცა მოსკოვში შუაღამე იდგა.

### „წითელ" და „ლურჯ" ქვეჯგუფებში

**ჰოკეისტთა** ოლიმპიური ტურნირი თამაშების გახსნამდე დაიწყო. როგორც ვიტყობინებოდით, მონაწილე კოლექტივები ორ — „წითელ" და „ლურჯ" ქვეჯგუფებში განაწილდნენ. თითოეულში 6 გუნდი იბრძვის იმ ორ-ორი საგზურისთვის, რომლებიც ფინალურ ჯგუფში თამაშის უფლებას იძლევა.

„ლურჯების" ანუ პირველ ქვეჯგუფში შეხვედრები ასე დამთავრდა: ჩეხოსლოვაკია — ნორვეგია — 11:0; შვეცია — აშშ — 2:2, გფრ—რუმინეთი — 4:6.

„წითლების" ანუ მეორე ქვეჯგუფში კანადელებმა მოუგეს ჰოლანდიელებს — 10:1, ფინელები დამარცხდნენ პოლონელებთან — 4:5.

სსრ კავშირის ნაკრების ამდღევანდელი მეტოქე იყო იაპონიის გუნდი. საბჭოთა სპორტსმენებმა იოლ გამარჯვებას მიაღწიეს — 16:0.

* * *

**სურათზე:** აქ გაიმართება ოლიმპიელ „მფრინავ მოთხილამურეთა" შეჯიბრება.

აპ-საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

● ჭადრაკი

### სამ-სამი მოგებით

**ქუთაისი, 13 თებერვალი** (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის მასობრივ ტურნირში გუშინ III ტური გაიმართა.

ოსტატ ჯ. ბერაძის (წყალტუბო) შეხვედრა ა. ბლიუმგარდთან (ქუთაისი) დაუმთავრებელი დარჩა თანაბარ მდგომარეობაში. გადაიდო, აგრეთვე, ქუთაისის ჩემპიონის კ. შავგულიძის პარტია ე. გველესიანთან (რუსთავი). ქუთაისელი მოჭადრაკე უპირატესობას ინარჩუნებს. წინა ტურის გადადებული პარტია ვ. ვეფხვიშვილთან (თბილისი) შავგულიძემ მოიგო.

გ. გიორგაძემ (ქუთაისი) დაამარცხა ლექვეიშვილი (სამტრედია), თამილა მესხმა — ტ. მოდებაძე, ხოლო ირმა აბზიანიძემ (სამივე— ქუთაისი) — მ. კაკაბაძე (აჭარა). ი. მანაშეროვმა (ხაშური) სძლია ი. პაპავაძეს (მცხეთა).

3 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან გ. გიორგაძე, ი. მანაშეროვი, თ. მესხი — 3-3 ქულა, მ. მაკვეიჩევი (კასპი), თ. ცოტნიაშვილი (სამხრეთ ოსეთი), ტ. ბაირამოვი (დმანისი) — 2,5-2,5, დ. გურგენიძე (საგარეჯო), კ. შავგულიძე — 2-2 ქულა და თითო გადადებული პარტია.

ზ. ბურკაძე,

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.



● კალათბურთი

### დაძაბულ ბრძოლაში

**კიევში** კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღეს თბილისის „დინამოს" დამარცხების შესახებ უკვე ვიტყობინებოდით. გაგაცნობთ დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: ასკ (კიევი) — ვეფ-ი (რიგა) 115:138 (57:65), ცსკა — რტი (მინსკი) 101:76 (45:34), „ჟალგირისი" (კაუნასი) — „ლოკომოტივი" (ნოვოსიბირსკი) 103:98 (58:52), „სტატიბა" (ვილნიუსი) — „კალევი" (ტალინი) 101:97 (61:55), „სტროიტელი" (კიევი) — „სპარტაკი" (ლენინგრადი) 88:87 (50:47).

უკანასკნელ საათს!

საკავშირო ჩემპიონატის მესამე დღეს თბილისის „დინამო" კიეველ არმიელებს შეხვდა. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 121:98.

● ხელბურთი

### გადარჩენილი ქულა

**კაუნასსა და მინსკში გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.**

**კაუნასში** თბილისის „ბურევესტნიკის" მეტოქე იყო მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი. ტაიმი მაი-მ მოიგო — 14:12, მაგრამ შესვენების შემდეგ თბილისელებმა შეძლეს ქულის გადარჩენა — 27:27.

აქვე ფრედ (25:25) დამთავრდა ზიი-სა (ზაპოროჟიე) და ადგილობრივი „გრანიტასის" მატჩი. მოსკოვის „კუნცევომ" დაამარცხა ჩელიაბინსკის „პოლიოტი" — 25:20.

**მინსკის** ჯგუფში შეხვედრები ასე დამთავრდა: ასკ (ლვოვი) — ასკ (კიევი) — 26:29, ფისკ (კრასნოდარი) — ცსკა—21:30, „კრისტალი" (ტაშკენტი) — ასკ (მინსკი) — 22:24.



**თბილისში,** საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის მძლეოსნურ მანეჟში ოთხ დღეს მიმდინარეობდა მშვილდოსანთა რესპუბლიკური პირველობა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზზე. ეს იყო წლევანდელი სეზონის პირველი ასპარეზობა, რომლის სტარტზე მხოლოდ აჭარისა და თბილისის (2) გუნდები გამოვიდნენ. სამწუხაროდ, ტურნირს თავი აარიდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კოლექტივებმა, ხოლო ქუთაისი სანახევროდ დაკომპლექტებული კოლექტივით ჩაება შეჯიბრებაში.

ასპარეზობა, თუმცა რესპუბლიკის ზოგიერთი უძლიერესი მშვილდოსნის გარეშე ჩატარდა, (ისინი ზამთრის საკავშირო პირველობაზე იმყოფებიან), ბრძოლა მაინც საინტერესოდ წარიმართა. გაიმარჯვა და გაზეთის პრიზი მოიპოვა თბილისის პირველმა ნაკრებმა. თბილისელებმა 157 ქულა მოაგროვეს და 8 ქულით ჩამოიტოვეს აჭარის ნაკრები.

რაც შეეხება პირად პირველობას, იგი ვაჟთა შორის თბილისელების უპირატესობით მიმდინარეობდა. საერთაშორისო კლასის ოსტატმა ნ. მიქელაძემ საბოლოოდ 2453 ქულა მოაგროვა. მანვე მოიგო 30, 70 და 90 მეტრიდან ვარჯიშის ორჯერადი შესრულებით ასპარეზობა.

● მშვილდოსნობა

### „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზზე

**სურათებზე:** ვაჟები „ცეცხლის ხაზზე"; დაისრულ ფართან არიან ლადიგინა (მარცხნივ) და ხურციძე.

ავტორის ფოტოები.

ქალთა შორის ყველას აჯობა ბათუმელმა ოსტატმა ო. ლადიგინამ — 2441 ქულა. იგი უძლიერესი იყო ცალკეულ დისტანციებზეც.

ლიდერთა უპირატესობა კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ტექნიკური შედეგებიდან.

**ქალები. 2X30 მ.** ო. ლადიგინა (აჭარა) — 657 ქულა, ტ. ლოგინოვა (თბილისი) — 651, ლ. მარტინოვა (აჭარა) — 647; **2X50 მ.** ლადიგინა — 551, ი. მარტინოვა (აჭარა)—585, დ. ხურციძე (თბილისი) — 556; **2X60 მ.** ლადიგინა — 212, ი. მარტინოვა — 596, ლ. მარტინოვა — 596; **2X70 მ.** ლადიგინა — 581, ი. მარტინოვა — 553, დ. ხურციძე — 537.

**ვაჟები. 2X30 მ.** ნ. მიქელაძე — 667, ვ. ლექვეიშვილი — 666, დ. ბაქრაძე (ყველა — თბილისი) — 661; **2X50 მ.** ვ. კოლესნიჩენკო (აჭარა) — 601, მიქელაძე— 599, ბაქრაძე — 595; **2X70 მ.** მიქელაძე — 620, ბაქრაძე — 598, კოლესნიჩენკო — 589; **2X90 მ.** მიქელაძე—567, ბაქრაძე—547, ი. ლოგინოვი (თბილისი) — 533.

**მ-2. ქალები.** ლადიგინა —2441 ქულა, ი. მარტინოვა — 2381, ლ. მარტინოვა — 2315. ვაჟები. მიქელაძე — 2453, ბაქრაძე — 2401, კოლესნიჩენკო — 2357.

ა. კოტორაშვილი.



## ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა: პრობლემები, პერსპექტივები



# შინ დარჩენილი ათასი იმედი

**კოხტაგორიდან** ბაკურიანს ჩავცქერით. სითეთრე და სიმყუდროვე მეფობს. რაღაც ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ბაკურიანი დაცარიელებულაო.

ასეთი გრძნობა ცოტა ხნის წინათ დამეუფლა, როცა ჩვენი ქვეყნის მოთხილამურეთა ნაკრების უკანასკნელი „ლაზი“ მიეფარა თვალს. ისინი კეთილი სურვილებითა და ათასი იმედით გავაცილეთ შორეული ლეიკ-პლესიდისაკენ...

ახლა კი კოხტაგორიდან ბაკურიანს ჩავცქერით. როგორღაც მოწყენილი მეჩვენება „თეთრი მარგალიტი“. ოლიმპიელთა შორის არც ერთი აქაური მოთხილამურე არ არის, არც ერთი ქართველი სპორტსმენი არ არის. არც



წინა ოლიმპიადაზე იყვნენ.

დრო კი მიდის, უკანმოუხედავად მიჰქრის.

აქაურობა ალბათ ამიტომაც მეჩვენება დანაღვლიანებული, თორემ ისე ბაკურიანს რა დაცლის და რა მოაწყენს. ამოდიან და ამოდიან სტუმრები. საიდან აღარ მოდიან: თბილისიდან თუ ქუთაისიდან, ბათუმიდან თუ ზუგდიდიდან, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ყველანი თხილამურებზე შემდგარან — დიდები თუ პატარები, ქალები თუ კაცები.

აგერ კიდევ ერთი ოჯახი — დედა, მამა და შვილი ეშვება თხილამურებით. ბავშვი ექვსი წლისა თუ იქნება, მაგრამ მაინც ყოჩაღად დგას. თხილამურებზე „ამხედრებული“ სამიოდე წლის ნორჩებიც ბლომად არიან. მოსრიალებენ, ეცემიან, თოვლში დათვის ბელებივით კოტრიალობენ, კვლავ თხილამურებზე დგებიან და გზას აგრძელებენ.

ვუყურებ ამ ბავშვებს და ვიმედოვნებ: ოლიმპიელებს თუ ოკეანესგაღმა ათასი იმედი გავაყოლეთ, ერთი ათასი კიდევ ამათთან დაგვრჩა. შეუძლებელია მათგან კარგი მოთხილამურეები არ დადგნენ, ოღონდაც, თუ კარგი თხილამურები ექნებათ, თუ კარგი მწვრთნელები იყოლებათ, თუ ვარჯიშის პირობები, ხელშეწყობა ექნებათ...

ამას ხმამაღლა ვფიქრობდი და გიორგი ფანჯაკიძემ — „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს სათხილამურო სპორტსკოლის დირექტორმა შემაწყვეტინა — ეს ყველაფერი რომ გვქონდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო.

ჩვენი საუბარი სპორტსკოლის შენობაში დაიწყო, მაგრამ იქ დიდხანს არ გაგრძელებულა, გათოშილებმა გარეთ გამოსვლა ვამჯობინეთ — აქ უფრო თბილოდა.

შენობა ერთსართულიანია. თუმცა გადახურულია, მაგრამ დირექტორის ოთახში რომ შევედით, ერთ კუთხეში... თოვლი დაგვხვდა. იატაკის ღრიჭოებიდან ისე უბერავდა, როგორც სამჭედლოს საბერველიდან. შენობა უკვე ორი წელია, რაც გადაიხურა, მაგრამ ოთახები ჯერ კიდევ მოუწყობელია, არც გასახდელებია, არც საშხაპეები, არც თხილამურების საწყობი, თუ მწვრთნელთა და სამედიცინო ოთახები.

ახლა, როგორც იქნა, ღუმელი შეუძენიათ, მაგრამ სპორტსკოლის ბაზის დირექტორი — ქსენია ბანდური ეჭვობს, რომ იგი ამ ზამთარს შევიდეს მწყობრში: ეჭვობს და არც თუ უსაფუძვლოდ — საცაა წლევანდელი ზამთარიც თვალსა და ხელს შუა გაგვეპარება.

დრო კი მიდის. უკანმოუხედავად მიჰქრის.

მოსწავლეები და მათი აღმზრდელები, დიდი ვაჟასი არ იყოს, დგანან და ელიან. უსაზღვროა მათი მოლოდინი. როდემდე გაგრძელდება ლოდინი? ამაზე ალბათ გვიპასუხებენ „საქსპორტრემმშენის“ სამმართველოს ბორჯომის სამშენებლო უბნის ხელმძღვანელები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სპორტსკოლის მშენებლობაზე...

ახლა კი კოხტაგორიდან ბაკურიანს ჩავცქერით. თან თხილამურებით მოსრიალე ერთი ციდა ბავშვებს შევყურებთ. გულს უხარია, ისე ყოჩაღად დგანან თხილამურებზე. თავს ათასი იმედი დასტრიალებთ. გიორგი ფანჯაკიძე კი კვლავ სპორტსკოლის გასაჭირზე მიამბობს.

— ჩვენი სპორტსკოლა ოთხითდე წელია რაც გაიხსნა. თავიდან არც შენობა გვქონდა, არც ინვენტარი. მერე და მერე ყინული ოდნავ გალღვა. მაგრამ ამ ხნის მანძილზე ისეთი თხილამურები, როგორიც ჩვენ გვინდა, აქამდე არ გვქონია, ამიტომ არც შედეგები იყო. თუ ვინმე პერსპექტიული მოთხილამურე გამოჩნდებოდა, იმათ „დინამოს“ სათხილამურო ბაზა გადაიბირებდა ხოლმე. ბუნებრივია, ბავშვს იმასთან ურჩევნია, ვინც უკეთეს თხილამურებს მისცემს და ვარჯიშის პირობებსაც შეუქმნის. ჩვენი სპორტსკოლის შენობაზე, მოთხილამურეების ინვენტარით ცუდ მომარაგებაზე და საერთოდ ვარჯიშის პირობებზე რომ ვფიქრობ, ერთი ანდაზა მახსენდება: უტყვიაწამლოდ თოფი ჯოხის მაგვარიაო. ჰოდა, რაღა გასაკვირია, თუ 200 ბავშვის ნაცვლად ჩვენს სკოლაში 150-მდე მოსწავლეა გაერთიანებული. წლეულს, როგორც იქნა, კარგი თხილამურებიც გამოგვიყვეს. ბუნებრივია, ისინი საუკეთესო მოთხილამურეებს მივეცით.

აქვე უნდა გავიხსენოთ სპორტსკოლის სხვა გასაჭირიც, რომელზეც „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს მოთხილამურეთა უფროსმა მწვრთნელმა ნანა ბალაშვილმა მიამბო:

— სადაც წესი და რიგია, ჩვენი აღსაზრდელები სპორტსკოლაში უნდა იკრიბებოდნენ და სავარჯიშოდაც ერთად უნდა მიდიოდნენ. სამწუხაროდ, სპორტსკოლას არავითარი ტრანსპორტი არ გააჩნია. ამ მხრივ, როცა შესაძლებლობაა, „დინამოს“ სათხილამურო ბაზა გვიმართავს ხელს. არადა, საკუთარი ტრანსპორტი რომ გვქონდეს, სპორტსკოლის მოსწავლეებს ზაფხულობით ცხრაწყაროს უღელტეხილზეც ავიყვანდით სავარჯიშოდ. იქაურობა აგვისტოშიც კი თოვლითაა დაფარული. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სპორტსკოლაში ბაკურიანელთა გარდა ახლომახლო სოფლების ბავშვებიც უნდა იყვნენ გაერთიანებულნი. მაგრამ ამ საქმეში კვლავ ტრანსპორტის უქონლობა გვიშლის ხელს. და კიდევ ერთი — ჩვენს სპორტსკოლაში სამთო-სათხილამურო, რბენების, ტრამპლინიდან ხტომისა და საციგაო სპორტის სექციებია, მაგრამ ბაკურიანის საციგაო ტრასა მოუვლელია. წყლის ნაკლებობის გამო სარბიელს ვერ ყინავენ. ამიტომ ჩვენი მოციგავეები აქ მხოლოდ... ზაფხულობით, გორგოლაჭებიანი ციგებით ვარჯიშობენ. ზამთრობით კი... სხვა რესპუბლიკებში მიემგზავრებიან სამეცადინოდ. სხვათა შორის, ამ სახეობაში აგერ უკვე სამი წელია საქართველოს ჩემპიონატები... სვერდლოვსკში იმართება.

დრო კი მიდის, უკანმოუხედავად მიდის.

ახლა ზოგჯერ გაიგონებთ, ბაკურიანის „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს სათხილამურო სპორტსკოლის მწვრთნელები ისე ვერ მუშაობენ, როგორც საჭიროაო. ესეც მართალია, თუმცა გეგმების საქმე ცუდად როდი აქვთ.

შარშან გეგმით 15 პირველთანრიგოსანი უნდა მოემზადებინათ, მაგრამ ერთით ნაკლები შესწვდა ამ ნორმატივს. სამაგიეროდ, ერთი სპორტის ოსტატობის კანდიდატი აღზარდეს, რაც გეგმით გათვალისწინებული არ იყო. II-III და ჭაბუკთა თანრიგოსნების მომზადების გეგმა 47-ს ითვალისწინებდა. 48 მომზადდა. „კოლმეურნეს“ სამთომოთხილამურე მერი კოზანაშვილი, აგრეთვე „მფრინავი მოთხილამურეები“ მევლუდ ბაკაევი და იაკობ ფანჯაკიძე საქართველოს ჩემპიონები არიან. მათთან ერთად ცენტრალური საბჭოს ნაკრებშია ვიქტორ ხუბაევიც. აქაური მოსწავლეები განსაკუთრებით ძლიერები არიან სათხილამურო რბოლებში. ისინი გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზის გა-



თამაშების ლაურეატები არიან. ყოველივე ამას თუ გავითვალისწინებთ, მაინცდამაინც საგანგაშო არაფერია. და თუ სპორტსკოლის მუშაობით კმაყოფილები არ არიან, ეს ალბათ ბუნებრივიცაა, რამეთუ „კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია“. მაგრამ აქვე უთუოდ უნდა გავიხსენოთ სპორტსკოლის მესვეურთა პრეტენზიები, სურვილები თუ მოთხოვნები.

როცა ბაკურიანს გამოვემშვიდობე, ისევ სამიოდე წლის ბავშვები გამახსენდა, რომლებიც თხილამურებით მისრიალებდნენ. ეცემოდნენ, თოვლში დათვის ბელებივით კოტრიალობდნენ, კვლავ თხილამურებზე დგებოდნენ და გზას აგრძელებდნენ. შეუძლებელია ამ ერთი ციდა ბალღებისაგან კარგი მოთხილამურეები არ დადგნენ...

**ა. გურასაშვილი.**

(„ლელოს“ სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

* * *

**სურათებზე:** სპორტსკოლის ნორჩ სამთომოთხილამურეთა ერთი ჯგუფი მწვრთნელ ქ. მაისურაძესთან ერთად; ასეთ სურათს ხშირად ნახავთ კოხტაგორის ფერდობზე; მ. კოზანაშვილი; სპორტსკოლის შენობა.

ავტორის ფოტოები.



● ხელბურთი

## ჩვენი ხვალინდელი დღე

**თბილისის** პირველობა გაითამაშეს 1964-66 წ. წ. დაბადებულმა სპორტსმენებმა. ტურნირს კარგად უმასპინძლა ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლის დარბაზმა.

თბილისელი ხელბურთის მოყვარულნი სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში მონაწილეობით განებივრებულნი არ არიან, ამიტომ ამ საინტერესო ასპარეზობამ ჩვენი ხელბურთის მომავალი თაობის სიხარული გამოიწვია. საუკეთესო მოთამაშეებისთვის თბილისის სპორტკომიტეტის მიერ დაწესებულმა სამახსოვრო პრიზებმაც თავისი ნაყოფი გამოიღო — თითოეულ მატჩს ბავშვები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ.

საინტერესო შეხვედრების შემდეგ სატურნირო საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **გოგონები** — თბილისის განათლების სამმართველოს I გუნდი (მწვრთნელი ო. შაქარაშვილი), თბილისის განათლების სამმართველოს II გუნდი, ოქტომბრის რაიონი. **ჭაბუკები** — თბილისის განათლების სამმართველოს I ნაკრები (მწვრთნელი თ. მატუკაშვილი), ოქტომბრის რაიონი, 26 კომისრის რაიონი.

ისე, როგორც წინა შეჯიბრებაში, აქაც განათლების სამმართველოს კოლექტივები სხვა გუნდებთან შედარებით უკეთესად იყვნენ მომზადებულნი.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მასპინძლებმა — ოქტომბრის რაიონის ნორჩმა ხელბურთელებმა. მათ თამაშში შეიმჩნეოდა ლტოლვა კოლექტიურობისკენ გუნდის ლიდერის რაციონალური გამოყენებით, რაც სხვა კოლექტივებისთვის მისაბაძი უნდა იყოს.

ტურნირის საუკეთესო მეკარეებად აღიარეს: **გოგონებში** — ე. გევორქოვა, **ჭაბუკებში** — ზ. ჯინჯიხაშვილი (ორივე — ოქტომბრის რაიონი), მოედნის საუკეთესო მოთამაშეებად (შესაბამისად) ნ. ბიბილეიშვილი და მ. როგავა (ორივე — განათლების სამმართველო I), საუკეთესო ბომბარდირად ჭაბუკებში — გ. მეტრეველი („განთიადი“).

**ჯ. აბაიშვილი,**

**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

● თავისუფალი ჭიდაობა

## ჭაბუკ ფალავანთა წარმატება

**კიშინიოვში** დამთავრდა „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში 10 რესპუბლიკის 100-ზე მეტი ფალავანი მონაწილეობდა. წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — რსფსრ-ს გუნდის შემდეგ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ ნ. ტატულაშვილი, გ. დარასელია, ე. ასლამაზაშვილი და ლ. ხაბელოვი. მეორე ადგილზე გავიდნენ დ. გორგაძე და თ. თურმანიძე, ხოლო მესამეზე — ზ. გეკაშვილი და ვ. სულთანიშვილი.

**ტ. შარბაძე.**

**„შრომითი რეზერვების“ მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი.**

## კოხტაგორა გამოცდებს იბარებს

51 ქალი გამოვიდა გუშინ გამართულ გიგანტური სლალომის ტრასაზე (სიგრძე 1100 მ, სიმაღლეთა სხვაობა 275 მ, 45 კარი). პირველობისთვის ძირითადი ბრძოლა გაიმართა სპარტაკელ ლ. რეუსს, ბურევესტნიკელ ნ. ზელოვას, დინამოელი დების პერჩატკინებსა და პირველ გიგანტურ სლალომში გამარჯვებულ ტ. პივოვარჩიკს შორის.

ოსტატურად გაიარა ტრასა რეუსმა — 1.16,98. ნ. პერჩატკინასა და ზელოვას II და III შედეგები ჰქონდათ.

მეორე, შემცირებული ტრასის გავლას რეუსმა 1.10,1 მოანდომა. უკეთესი დრო ჰქონდა მხოლოდ ზელოვას — 1.10,04, რომელმაც პირველ ცდაში 1.18,01 აჩვენა.

ამრიგად, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, 19 წლის ლენინგრადელმა ლიუდმილა რეუსმა პირველი ადგილი მოიპოვა — 2.27,08. მეორეა ზელოვა — 2.28,05, მესამე — ნ. პერჩატკინა — 2.28,54. პივოვარჩიკი მეოთხე ადგილს დასჯერდა — 2.29,78.

საქართველოს ოთხეულიდან (მ. და ც. კოზანაშვილები, თ. გელაშვილი, მ. მიქაბერიძე) საუკეთესო იყო მერი კოზანაშვილი. მან ორი ცდის ჯამში 2.41,41 აჩვენა და მე-13 ადგილი დაიკავა.

**ო. ნოზაძე.**

(ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

## მოკლედ

### ✦ ჩოხატაური

**დამთავრდა** რაიონის მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა.

გაიმარჯვა ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლის ნაკრებმა. პირად ჩათვლაში გოგონებს შორის ჩემპიონი გახდა ამავე სკოლის მოსწავლე მ. ახალაძე, ჭაბუკთა შორის — ა. ბერაია (კოხნარი).

**დ. გურგენიძე.**

**(ჩვენი კორ.).**

### ✦ რუსთავი

**16 გუნდი** იბრძოდა ქალაქის ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად ფეხბურთში. კოლექტივები დაყოფილი იყვნენ 2 ქვეჯგუფად, სადაც წარმატებას მიაღწიეს ქალაქის საბინაო სამმართველოსა და ხილეულის წყლების კომბინატის კოლექტივებმა.

ფინალური თამაში მოიგეს საბინაო სამმართველოს ფეხბურთელებმა — 3:1.

**რ. გაბრიჭიძე.**

**(ჩვენი კორ.).**

# „სპორტი ემსახურება მეგობრობის, მშვიდობისა და პროგრესის იდეალებს"

## მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფოტოკონკურსი და გამოფენა

**სპორტული** ფოტოგრაფიის საერთაშორისო კონკურსი დევიზით „სპორტი ემსახურება მეგობრობის, მშვიდობისა და პროგრესის იდეალებს", მიძღვნილი მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისადმი, ეწყობა 1980 წლის 10 მაისამდე სსრკ ჟურნალისტთა კავშირის, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მიერ. ფოტოგამოფენა კონკურსის შედეგების მიხედვით ეწყობა 1980 წლის 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე კონკურსის დამფუძნებელთა მიერ.

კონკურსი უნდა იქცეს სპორტული სამხატვრო და დოკუმენტური ფოტოგრაფიის დარგის დათვალიერებად. მისი მიზანია აჩვენოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლი ადამიანის ცხოვრებაში, ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის განმუხტვას, ხალხთა მეგობრულ ურთიერთობას, ურთიერთგაგებას და მშვიდობის დამყარებას, მეგობრულ და პროფესიულ ურთიერთობას ფოტოჟურნალისტებსა და ფოტომოყვარულებს შორის.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პროფესიონალ ფოტოჟურნალისტებს და ფოტომოყვარულებს, იმ ქვეყნების პროფკავშირული და ახალგაზრდული საინფორმაციო და სხვა საორგანიზაციო დაწესებულებებიდან, რომელთა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები წარმოადგენენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებს.

**ფოტოები უნდა გამოიგზავნოს 1980 წლის 10 მაისამდე შემდეგი მისამართით: 119034, Москва, Бутиковский пер. дом № 12, издательство «Планета», на фотоконкурс.**

კონკურსზე მიიღება როგორც ცალკეული ფოტოები (შავ-თეთრი და ფერადი), ისე ფოტორეპორტაჟები და სერიები, რომლებიც გაკეთებულია ბოლო 4 წლის მანძილზე. სურათების ფორმატი — არაუმეტეს 50X60 და არანაკლებ 30X40 სმ.

ფოტოების თანმიმდევრობა სერიებში აღინიშნება ავტორის მიერ. თითოეულ ფოტოს თან უნდა ახლდეს ორი ასლი ფორმატით 18X24 სმ კატალოგისთვის. ფოტოგრაფიებზე უნდა აღინიშნოს ავტორის გვარი, სახელი, ქვეყანა და მისამართი, აგრეთვე ფოტოსურათების სახელწოდება.

კონკურსის ორგანიზატორები ნიშნავენ ჟიურის, რომლის შემადგენლობაში შედიან 12 ქვეყნის წარმომადგენლები.

**კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრემიები:**

**3 ტურისტული საგზური ოლიმპიადა-80-ის თამაშებზე უცხოელი ავტორებისთვის და ოლიმპიური თამაშების 4 ფოტოკამერა „ნიკონ-2", ოქროს მედლებისა და I ხარისხის დიპლომების გადაცემით.**

**10 პრიზი 200 მანეთამდე ღირებულებით, აგრეთვე, ვერცხლის მედლები და II ხარისხის დიპლომები.**

**15 პრიზი 100 მანეთამდე ღირებულებით, აგრეთვე, ბრინჯაოს მედლები და III ხარისხის დიპლომები.**

გამარჯვებულებს ასევე გადაეცემათ სსრკ ჟურნალისტთა კავშირის, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, „ოლიმპიადა-80"-ის საორგანიზაციო კომიტეტის, სსრ კავშირის სპორტკომიტეტის, სპორტული ორგანიზაციების, საინფორმაციო სააგენტოების, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების ფასიანი პრიზები.

გამოფენის ყველა მონაწილეს გადაეცემა სამახსოვრო მედლები, დიპლომები და კატალოგი, დაწესდება გამოფენის 50 სამახსოვრო მედალი იმ ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა წახალისებისთვის, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ექსპოზიციის მომზადებაში.

---

### ლაპარაკობენ ძიუდოისტთა თბილისის XI საერთაშორისო ტურნირის სტუმრები

# ტურნირი დამთავრდა, მზადება გრძელდება

**დამთავრდა თბილისის XI საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. ოთხი დღის განმავლობაში სპორტის სასახლის ორ ტატამზე 15 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენთა ასპარეზობას ყურადღებით ადევნებდა თვალს ჭიდაობის ათასობით მოყვარული.**

**მართლაც ბევრი სტუმარი ჰყავდა ამ დღეებში თბილისს და, ბუნებრივია, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მათი აზრი ტურნირის ორგანიზაციაზე, ქართველ ძიუდოისტებზე, ოლიმპიური თამაშებისთვის ეროვნული გუნდების მზადებაზე და სხვა საკითხებზე.**

**გთავაზობთ რამდენიმე ინტერვიუს, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა ა. ზენკომ ჩამოართვა სტუმრებს.**

**ჩესლავ მისიუკი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი (პოლონეთი):**

— სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მე ძალიან მოხარული ვარ, რომ თბილისში ჩამოვედი, სადაც არა მარტო უყვართ, არამედ იციან ჭიდაობა. რა თქმა უნდა, მხედველობაში არა მყავს სპეციალისტები და სახელგანთქმული ფალავნები. ეს ტურნირი, რომელსაც სახელოვანი ისტორია აქვს და ცნობილია მსოფლიოში, ჩემის აზრით ძალზე ძლიერია — ტურნირში მონაწილე ნაკრები გუნდების მწვრთნელები მისხალ-მისხალ ზომავენ თითოეული სპორტსმენის შესაძლებლობას, რათა საუკეთესოები შეარჩიონ მოსკოვის ოლიმპიადაზე საასპარეზოდ, სადაც უეჭველად იქნება ისეთივე მეგობრული ატმოსფერო, როგორიც თბილისში. გამაოცა სპორტის სასახლეში მოსულმა გულშემატკივართა რაოდენობამ. ეს კი ცოტას არ ნიშნავს. ქართველი ფალავნებიდან ძალზე მომეწონა თამაზ ნამგალაური.

**გრიგოლ რაბელნიკი, საფრანგეთის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი იუნიორთა შორის 65 კგ წონაში:**

— ეს ტურნირი აუცილებლად მიმაჩნია. იგი შესანიშნავადაა ორგანიზებული და მაღალ დონეზე ტარდება. სპორტსმენები ცხოვრობენ სასტუმრო „აჭარაში", სპორტის სასახლიდან ორ ნაბიჯზე და შესაძლებლობა აქვთ ივარჯიშონ ნებისმიერ დროს. ერთი სიტყვით, საუკეთესო პირობებია შექმნილი. თბილისში მეორე, ახალგაზრდული გუნდით ჩამოვედით. ვიმედოვნებ, რომ რამდენიმე ჩვენგანი შეიძლება ოლიმპიურ ნაკრებშიც მოხვდეს. გუნდის ყველა წევრი ვოცნებობდით თბილისში ჩამოსვლაზე. იღბალი გვქონია, რომ შევხვდით ქართველ ფალავნებს, რომლებთანაც ყოველთვის საინტერესოა ბრძოლა — ისინი კარგად იყენებენ კლასიკური ძიუდოს ილეთებს და ძალზე ტექნიკურები არიან.

**რობერტ ჰაილი, გფრ-ის ძიუდოს სპორტული ფედერაციის დირექტორი:**

— თბილისის ტურნირი, რომელმაც მსოფლიოში საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ევროპის ჩემპიონატზე ბევრად უფრო კარგად არის ორგანიზებული, და როგორც ოლიმპიური თამაშებისთვის მოსამზადებელ შეჯიბრებას, დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ნაკრებისთვის. გფრ-ის სპორტსმენების სახელით დამაჯერებლად შემიძლია ვთქვა, რომ მათ სურთ იასპარეზონ მოსკოვში. ჩვენი ძიუდოისტებიდან ოლიმპიადაზე აუცილებლად გამოვლენ ნოიროიტერი და დორბანდტი. სხვა კანდიდატებზე არაფერი შემიძლია ვთქვა. გამაოცა საბჭოთა ძიუდოისტების ოსტატობამ. ჩემი აზრით, ქართველი ფალავნებისთვის დამახასიათებელია ფიზიკური ძალა, გამარჯვებისკენ სწრაფვა და, როგორც მომეჩვენა, ისინი ტატამზე გამოდიან გამარჯვებაში დარწმუნებულნი. უნდა აღინიშნოს, რომ სპორტსმენთა ტექნიკა ბევრად გაუმჯობესდა.

**იმრე ვარგა, უნგრეთის 11-გზის ჩემპიონი, 1978 წლის ევროპის ჩემპიონი, 1979 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი მძიმე წონაში:**

— ძალიან მიყვარს თბილისში ჩამოსვლა. ორჯერ ვიყავი აქ და ორივეჯერ „ვერცხლი" დავისაკუთრე. ეს ძლიერი ტურნირი, რომელშიც მრავალი ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობენ, ოლიმპიადისწინა პერიოდის აუცილებელი შეჯიბრებაა. ვოცნებობ „ოლიმპიადა-80"-ის ჩემპიონობაზე. ქართველი მოჭიდავეები ძალზე ტექნიკურები და მოქნილები არიან. შოთა ჩოჩიშვილისა და თემურ ხუბულურის ოსტატობა ყველასათვის მისაბაძია. არ გვყავს პერსპექტიული სპორტსმენი და საერთოდ წლითიწლობით გამარჯვება უფრო გვიძნელდება, რადგან საბჭოთა ძიუდოისტებმა ბევრად გააუმჯობესეს ოსტატობის დონე.

**დიტმარ ხოტგერი, გდრ-ის ნაკრები გუნდის მწვრთნელი:**

— გდრ-ში ძიუდო ჯერჯერობით ისე პოპულარული არ არის როგორც აქ. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მალე სპორტის ეს სახეობა აღიარებას მოიპოვებს ჩვენს ქვეყანაში.

თბილისში ჩემს გუნდთან ერთად მესამედ ჩამოვდივარ და ყოველთვის იმ იმედით მივდივარ, რომ კიდევ არაერთხელ დავბრუნდები. მე აქ ყველაფერი მომწონს: ტურნირის ორგანიზაცია, მაყურებელთა თბილი დამოკიდებულება ჩვენი სპორტსმენების მიმართ, საინტერესო შეხვედრები მეგობრებთან. წელს ჩვენი გუნდის შემადგენლობაში 7 სპორტსმენია. ჯერჯერობით ყველაზე მეტად თავი გამოიჩინა ბერლინის უმაღლესი სამხედრო სკოლის სტუდენტმა, ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა დიტმარ ლორენცმა, რომელზეც დიდ იმედებს ვამყარებ. კიდევ ვინ დაიცავს ჩვენი ქვეყნის ღირსებას ოლიმპიადაზე, ევროპის ჩემპიონატი გვიჩვენებს. ქართველ ძიუდოისტებს ძლიერ ოსტატებად ვთვლი. ისინი ყოველთვის მაოცებენ ბრძოლის წარმოების თავისებური ხელწერით.

**მასაცუი კოგა, ძიუდოს ინტერნაციონალური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი:**

— ამ ტურნირს ერთ-ერთ საუკეთესო საერთაშორისო ტურნირადაც ვთვლი. იაპონელები მუდამ დიდი სიამოვნებით ჩამოდიან საქართველოში — თბილისის ტატამზე ბრძოლა ძალზე საინტერესოა.

კარტერის ბოიკოტის მიუხედავად, ოლიმპიადა გაიმართება სწორედ მოსკოვში. დაე მან იხმაუროს რამდენიც სურს, მაგრამ უნდა იცოდეს, რომ ოლიმპიური თამაშების გამართვის საკითხი მის კომპეტენციაში არ შედის. სპორტი პოლიტიკა არ არის. ზედმეტია იმის თქმა, რომ თბილისში ბევრი მეგობარი გვყავს, რომლებთან შეხვედრა მუდამ გვსიამოვნებს. იაპონიაში კარგად იცნობენ და უყვართ ქართველი ფალავნები, რისი დამადასტურებელია ჩვენთან უკვე სამჯერ გამართული ანზორ კიკნაძის სახელობის ტურნირი. მინდა აღვნიშნო თემურ ხუბულურის ოსტატობა. მართალი რომ ვთქვა, ამ წონით კატეგორიაში ბისაგან გაათავისუფლა სოლოდუხინი და ხუბულური, რომელთაც დიდი დატვირთვა ჰქონდათ დეკემბრის მსოფლიო ჩემპიონატში. არ ჩამოვიდა იაპონელი იამასიტო — ჩვენი ძირითადი კონკურენტი მძიმე წონაში. მიუხედავად ამისა, ტურნირმა სპეციალისტთა და ძიუდოს მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ნაკრები ოლიმპიადამდე საკავშირო და ევროპის ჩემპიონატებში იასპარეზებს, რის შემდეგაც დაკომპლექტდება ოლიმპიური გუნდი.

**ბორის მიშჩენკო, საბჭოთა კავშირის ძიუდოისტთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი:**

— თბილისში პირველად არ ჩამოსულვარ და სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ ტურნირის ორგანიზაცია წლიდან წლამდე უმჯობესდება. ყველგან წესრიგი იგრძნობა. მსაჯები უფრო ობიექტურად მუშაობენ. მწვრთნელთა საბჭომ ტურნირში მონაწილეო-

**სერგეი ველიკოტნი, ალჟირის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი:**

— მეორედ ჩამოვედი თბილისის ტურნირზე და შემიძლია ვთქვა, რომ წელს ტურნირის ორგანიზაცია ბევრად უკეთესია. სპორტსმენებისა და მწვრთნელებისათვის შექმნილია ყოველგვარი პირობა. ალჟირელი სპორტსმენებისათვის ასეთ ძლიერ ტურნირში ასპარეზობა, რა თქმა უნდა, ძალზე ძნელია. ქართველი სპორტსმენებიდან ოლიმპიადაში მონაწილეობის ნაღდ კანდიდატებად მიმაჩნია ხუბულური და ნამგალაური. ალჟირელი ძიუდოისტებიდან მინდა გამოვყო სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი 31 წლის ახმედ მუსა და 21 წლის ადაბერკანი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში VII ადგილზე გავიდა. მინდა აღვნიშნო, რომ ალჟირში ძიუდო ძალზე პოპულარულია. მას ქალებიც მისდევენ.

**ცონიო ატანასოვი, ბულგარეთის მრავალგზის ჩემპიონი მძიმე წონაში:**

— ჩემი აზრით ეს უძლიერესი ტურნირი ჩატარდა მსოფლიო სტანდარტების დონეზე. ძიუდოში 8 წელია ვვარჯიშობ, მეშვიდედ ვარ თბილისში.

ბულგარელი ძიუდოისტებისთვის ახლა მოსამზადებელი პერიოდი დადგა. ეს ტურნირი ჩვენი შესაძლებლობების შემოწმებაა. ვიტყვი, რომ ტურნირის ორგანიზაცია უმჯობესდება ყოველ წელს, რაც ძალზე სასიამოვნოა. ჩვენთან ძიუდო არც ისე პოპულარულია და ალბათ ამიტომ მსოფლიო მასშტაბის მაღალ შედეგებს ვერ ვაღწევთ. თუმცა ჩვენი მწვრთნელი, მოლდაველი ვასილი კალცა ძალზე ბევრს მუშაობს, გადმოგვცემს ჭიდაობის საბჭოთა სკოლის მდიდარ გამოცდილებას. მომწონს, რომ მაყურებლებმა იციან ძიუდოს ტერმინოლოგია, ძალზე მხურვალედ გულშემატკივრობენ. მსაჯები ობიექტურები არიან.

ვიმედოვნებ ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობას, თუმცა კონკურენტი მყავს გუნდში. ყველაფერს ევროპის ჩემპიონატი გადაწყვეტს.

* * *



**სურათზე:** სპორტის სასახლის ტატამზე გამართულ ორთაბრძოლებს თვალს ადევნებენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. პაპიტაშვილი, მსოფლიოს, ოლიმპიური და ევროპის პირველი ქართველი ჩემპიონები თ. ხუბულური, შ. ჩოჩიშვილი და ა. ქიბროწაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

---

● მძლეოსნობა

## მოზარდებმა პოზიცია დათმეს

**პერმის** მანეჟში დასრულდა 1963-64 წლებში დაბადებული მოზარდების საკავშირო პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. წლეულს ეს იყო მეორე ასპარეზობა მრავალჭიდში. თითოეული მონაწილე ძირითადი სახეობის გარდა რომელიმე მოსაზღვრე სახეობაში ცდიდა ძალას და საბოლოო შედეგები ამის მიხედვით ვლინდებოდა.

საასპარეზოდ 24 კოლექტივი შეგროვდა მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან. რსფსრ 7 გუნდით გამოდიოდა.

პირველი ჯგუფის კოლექტივებს შორის ყველას რსფსრ-ს ნაკრების წევრებმა აჯობეს. მათ 28 სახეობაში 466 ქულას მოუყარეს თავი. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ უკრაინისა (361) და ბელორუსიის (298) გუნდები. ისინი 30-30 სახეობაში ცდიდნენ ძალას.

მეორე ჯგუფში, სადაც 17 კოლექტივი გამოდიოდა, ყველას ლატვიელებმა აჯობეს — 15 სახეობის ჯამში 150 ქულა დააგროვეს და 7 ქულით გაუსწრეს სვერდლოვსკის ოლქის სპორტსმენებს. III იყო უზბეკეთის ნაკრები — 133.

შარშანდელ ამგვარ შეჯიბრებაში საქართველოს გუნდი მესამე პრიზიორი გახლდათ. წლეულს მან ერთბაშად 6 ნაბიჯით უკან დაიხია და 13 სახეობის ჯამში 79 ქულით IX ადგილით დაკმაყოფილდა. ეს მარცხი განაპირობა იმან, რომ 7 სახეობაში სპორტსმენებმა შეფასება ვერ მიიღეს. გუნდს ვერაფერი არგეს სიმაღლეზე მხტომელმა ი. ჩოგოვაძემ, მორბენლებმა ვ. ლისაკოვმა, მ. მაისურაძემ, ბ. ბოლქვაძემ, ნ. ლამბრიანიდიმ, აგრეთვე ა. კოპალეიშვილმა (ყველა — პროფსაბჭოს სკოლის აღსაზრდელია) და სპორტული სკოლა-ინტერნატის მოსწავლემ მ. ხურციამ. ამდენი „ნული" გუნდს მძიმედ დააწვა.

რესპუბლიკის სპორტსმენებიდან საკავშირო ტურნირში ყველაზე უკეთ გამოვიდა სპორტსკოლა-ინტერნატის მოსწავლე ა. ქორიძე. მან ბირთვის კვრაში (16,38) III შედეგი აჩვენა, 60 მეტრზე რბენაში (7,6)—მეშვიდე და საერთო ჯამში 24 ქულით III პრიზიორი გახდა.

მისი თანასკოლელი მ. აზარაშვილი 60 მეტრზე (7,7) VIII ადგილზე აღმოჩნდა, 200 მეტრზე (25,9) კი მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ საბოლოოდ VI ადგილს ვერ ასცდა. მას აჯობა ახალციხელმა ნ. ჭალიაშვილმა, რომელიც 800 და 1500 მეტრზე ორივეჯერ V იყო და ორჭიდშიც V ადგილზე გავიდა. გუნდს 8-8 ქულა მოუპოვეს ზ. გუჩმაზოვამ და ო. სტრიჟაკოვმა, ხოლო 7 — ახალციხელმა ს. დილბაროვმა.

ქ. ჯიმშელაძე.

● ფეხბურთი

# დინამოელები შინ დაბრუნდნენ





**არგენტინის** ტურნედან გუშინ თბილისში დაბრუნდა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი. ჩვენი კორესპონდენტი ჯ. კასრაძე აეროპორტში შეხვდა გუნდის კაპიტანს მანუჩარ მაჩაიძეს და სთხოვა რამდენიმე შეკითხვაზე ეპასუხა:

**— რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე არგენტინელთა გუნდებმა?**

— ალბათ, გაგიკვირდებათ, თუ მსოფლიო ჩემპიონების ქვეყანაზე საერთოდ აღიარებულ აზრს ვერ გამოვთქვამ. ის გუნდები, რომლებთანაც ჩვენ მოგვიწია შეხვედრებმა, ყველა უმაღლესი ლიგისა იყო. „ბოკა ხუნიორსი", რომელსაც პირველ თამაშში შევხვდით, ქვეყნის ჩემპიონატში მეხუთე ადგილზეა, „ველეჟი" — მეორეზე, „როსარიო" მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს, ტუკუმანის „სან-მარტოსი" — მეექვსეზე, ხოლო „მენდოზა" სატურნირო ცხრილის შუაშია. მიუხედავად ამისა, ისინი, საკმაოდ უხეშობდნენ მინდორზე. რაც შეეხება ტექნიკას, ჩემი აზრით, ისინი უფრო ადგილზე არიან ტექნიკურები, ვიდრე მოძრაობისას, ვფიქრობ. ნეიტრალურ მინდორზე არ გაგვიჭირდება იქ წაგებული თამაშების მოგება.

**— 3 თებერვალს ქალაქ როსარიოში უნდა გეთამაშათ ადგილობრივ „ცენტრალთან". ამის შესახებ პრესაში არავითარი ცნობა არ გამოქვეყნებულა.**

— ამ გუნდს, მართლაც, 3 თებერვალს უნდა შევხვედროდით, მაგრამ გადაუღებელი წვიმების გამო თამაში 4 თებერვლისთვის გადაიტანეს. თამაში უაღრესად დრამატულად წარიმართა — ვიგებდით ანგარიშით 2:1. პირველი ბურთი მე გავიტანე, მეორე — კოპალეიშვილმა, მეორე ტაიმში ჩვენები გადაიღალნენ, ოდნავ მოეშვნენ, რაც კარგად გამოიყენა მეტოქემ. 7 წუთი აკლდა თამაშის დამთავრებას, როდესაც ზედიზედ ორი ბურთი გავუშვით.

**— რას იტყვით მსაჯობაზე?**

— ყველა თამაშს ადგილობრივი არბიტრები მსაჯობდნენ. თანაც უაღრესად არაობიექტურად.

**— როგორ ეხმაურებოდა ადგილობრივი პრესა თქვენს გამოსვლებს?**

— ჩემი იქ ყოფნის პერიოდში ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მათ თავისი წარმატებებით თავბრუ აქვთ დახვეული და სხვა ქვეყნების ფეხბურთზე თავშეკავებულად ლაპარაკს ამჯობინებენ.

**— ჩვენი გუნდიდან ვინ ითამაშა ყველა შეხვედრა?**

— მე, ხინჩაგაშვილმა, ქორიძემ და სულაქველიძემ. გუცაევმა პირველივე თამაშში ტრავმა მიიღო და მაყურებლებში გადაინაცვლა. ყიფიანმა ბოლო ხამი მატჩი ითამაშა.

**— არგენტინის შემდეგ თქვენ პერუში უნდა ჩაგეტარებინათ ორი თამაში...**

— აქედან გზად პერუში ჩავფრინდით. იქ ადგილობრივმა სპორტის მესვეურებმა გვითხრეს, რომ მათი წამყვანი გუნდები სხვადასხვა ქვეყნებში ატარებენ ტურნეს და ვერ მოახერხებენ დაგეგმილი დროისათვის ჩამოსვლას.



**— თქვენი შთაბეჭდილება არგენტინაზე.**

— მომეწონა. ზოგიერთი კუთხე. ძალიან ჰგავს საქართველოს, განსაკუთრებით დასავლეთს — ჰავით და ტენიანობით.

**— ორიოდე სიტყვით, გუნდის სახვალიო გეგმებზე.**

— ხვალ-ზეგიდან დილმის ბაზაზე შევიკრიბებით და საბჭოთა კავშირის თასის შეხვედრებისთვის მოვემზადებით.

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: დინამოელი ფეხბურთელები თბილისის აეროპორტში.**

**ა. კოტორაშვილის ფოტოები.**

● წყალბურთი

## ქვეჯგუფში — II ადგილზე

**მოსკოვსა** და მინსკში დამთავრდა სსრ კავშირის წყალბურთელთა ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტურის უკანასკნელი მატჩები. თბილისის დინამოელები კიევის თანაკლუბელებს ხვდებოდნენ. თამაში, რომელიც მეტად საინტერესოდ, დაძაბულად და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, დამთავრდა ფრედ — 8:8.

აქ გამართულმა სხვა შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: „დინამო" (მოსკოვი) — „მეხნატი" (ტაშკენტი) — 11:3, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი (მინსკი) — „სპარტაკი" (ვოლგოგრადი) — 7:6.

საბოლოოდ მინსკის ქვეჯგუფში საუკეთესო იყო მოსკოვის „დინამო", რომელმაც 10 შესაძლებლიდან 10 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა თბილისის „დინამო" — 7 ქ. შემდეგ მოდიან კიევის „დინამო" (6), „მეხნატი" — (5). ფისკ (2) და „სპარტაკი" (0).

მოსკოვის ქვეჯგუფში უკანასკნელი დღის შეხვედრები ასე დამთავრდა: სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი (სსფცსკ) — „მოსკვიჩი" 8:2, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბაქო) — „დინამო" (ლვოვი) 7:5, „დინამო" (ალმა-ათა) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 5:5.

ამ ქვეჯგუფში სპეციალისტთა გაოცებას იწვევს უნივერსიტეტელთა უფერული გამოსვლა, რომლებმაც ერთადერთი შეხვედრა მოიგეს. საბოლოოდ მათ მხოლოდ 3 ქულა მოაგროვეს, IV-V ადგილები გაიყვეს „მოსკვიჩთან" ერთად. წინ არიან სსფცსკ და კწფ. რომლებმაც 8-8 ქულა მოაგროვეს. მესამე იყო ალმა-ათის „დინამო" (6), ხოლო უკანასკნელი ადგილი ლვოვის „დინამომ" (2) დაიკავა.

27 თებერვალს თორმეტივე გუნდი თბილისში შეიკრიბება და მომდევნო ტურის შეხვედრებს დაიწყებენ.

### მაყურებლის ინტერესებისთვის

**დიდი** საზრუნავი აქვთ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური თამაშების ორგანიზატორებს. გათამაშების უმთავრესი პრინციპია ყველა მონაწილეს შეექმნას აბსოლუტურად თანაბარი პირობები და კალენდარიც ამის შესაბამისად შედგეს, მაგრამ ორგანიზატორებს მაინც მოუხდათ გარკვეულ კომპრომისზე წასვლა, ვინაიდან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მაყურებელთა ინტერესები.

ფეხბურთის გულშემატკივრებმა წინასწარ გამოთქვეს უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ყველა თამაშის ჩატარება განზრახულია ერთ დროს, რის გამოც ერთ რომელიმე მატჩზე დამსწრე მაყურებლებს საშუალება აღარ ექნებათ ტელევიზიით იხილონ სხვა შეხვედრის პირდაპირი ტრანსლაცია. იმ თამაშის ცქერა კი, რომლის შედეგი უკვე ცნობილია, არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს.

გულშემატკივრებს მხარი დაუჭირა ტელევიზიამაც, რის შემდეგ წინადადებამ ყოველი ტურის ყველა მატჩი მოეწყოს ერთი და იმავე დღეს, ერთსა და იმავე საათებში, მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. ამიტომ პირველი და მეორე ფინალური ჯგუფების მონაწილეები თამაშობენ სხვადასხვა დღეებში და საათებში. გრაფიკი აგებულია ისე, რომ მაყურებელმა უშუალოდ ნახოს ერთი რომელიმე მატჩი, ხოლო შემდეგ ტელევიზიით უყუროს სხვა შეხვედრას. ტელემაყურებლებს საშუალება ექნებათ იხილონ ევროპის ჩემპიონატის ყველა მატჩი უკლებლივ.

●

### სტატისტიკის მოყვარულთათვის

**ვიუწყებოდით**, რომ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის I შესარჩევ ჯგუფში გამარვება და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ინგლისელმა ფეხბურთელებმა. სტატისტიკის მოყვარულთათვის მოგვყავს საბოლოო მდგომარეობა ამ ჯგუფში.

| | თ. | მ. | ფ. | წ | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 8 | 7 | 1 | 0 | 22—5 | 15 |
| ჩრ. ირლანდია | 8 | 4 | 1 | 3 | 8—14 | 9 |
| ირლანდია | 8 | 2 | 3 | 3 | 9—8 | 7 |
| ბულგარეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 6—14 | 5 |
| დანია | 8 | 1 | 2 | 5 | 13—17 | 4 |

#### გფრ

XX ტურში ჰამბურგის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდა ორი ლიდერი: „ჰამბურგერ შპორტფერაინი" და მიუნხენის „ბაიერნი". ამ მომენტისთვის მათ 26-26 ქულა ჰქონდათ. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა, რის შემდეგ „ბაიერნმა" მეორე ადგილიც კი დაკარგა — მას გაასწრო „კიოლნმა", რომელმაც სტუმრად სძლია დიუსელდორფის „ფორტუნას" — 6:3.

სხვა მატჩები: „ბორუსია" (დორტმუნდი) — „ვერდერი" (ბრემენი) 5:0, „შტუტგარტი" — „აინტრაჰტი" (მაინის ფრანკფურტი) 4:2, „აინტრაჰტი" (ბრაუნშვაიგი)— „კაიზერსლაუტერნი" 0:1, „ბაიერი" (ლევერკუზენი)—„დუისბურგი" 2:2, „მიუნხენ 1860"—„ბაიერი" (უერდინგენი) 4:0, „ბორუსია" (მიონხენგლადბახი) — „ბოხუმი" 3:2, „შალკე 04" (გელზენკირხენი) — „ჰერტა" (დას. ბერლინი) 1:0.

XX ტურის შემდეგ 28 ქულით ერთპიროვნული ლიდერია „ჰამბურგერ შპორტფერაინი". 27 ქულა მოაგროვა „კიოლნმა", 26 — „ბაიერნმა", 24-24 — დორტმუნდის „ბორუსიამ" და „შალკე 04-მა".

#### ინგლისი

ძნელია იმის თქმა, თუ რამდენი ტურია ნათამაშევი ინგლისის ჩემპიონატში: ზოგს 24 მატჩი აქვს ჩატარებული, ზოგს — 27.

მორიგ ტურში რამდენიმე შეხვედრა, მათ შორის „ლივერპულის" მონაწილეობითაც, უამინდობის გამო არ შედგა. ლიდერის მთავარი მეტოქე „მანჩესტერ იუნაიტედი" სტუმრად თამაშობდა „დერბი ქაუნთისთან" და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. „მანჩესტერ იუნაიტედი" ახლა ლიდერის ერთადერთი სერიოზული მეტოქეა. ამინდს ამ გუნდში ახლა ქმნიან ისეთი გამოცდილი ფეხბურთელები, როგორებიც არიან კოპელი, მაკკინი, ბუჩანი, მაკილროი, გრენჰოფი და ფორსაიტი.

ამავე ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ასტონ ვილა"— „კრისტალ პალასი" 2:0, „იფსვიჩ თაუნი" — „ბრაიტონ ალბიონი" 1:1, „მანჩესტერ სიტი" — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" 1:3, „სტოკ სიტი" — „ბრისტოლ სიტი" 1:0, „ტოტენჰემ ჰოტსპური" — „საუთჰემპტონი" 0:0, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი" — „ევერტონი" 0:0.

ამრიგად, გათამაშების 24 თამაშიდან 35 ქულით სათავეში უდგას „ლივერპული". ამდენივე ქულა, ოღონდ 25 თამაშიდან, აქვს „მანჩესტერ იუნაიტედს", 30-30 ქულა მოაგროვეს „არსენალმა", „საუთჰემპტონმა" და „იფსვიჩ თაუნმა".

#### შოტლანდია

21 თამაშიდან 30 ქულით პირველ ადგილზეა გლაზგოს „სელტიკი". მისი სატურნირო მდგომარეობა ერთობ მტკიცეა, ვინაიდან მეორე ადგილზე მყოფმა „მორტონმა" 22 მატჩი გამართა და 26 ქულა მოაგროვა. 22-22 ქულა აქვთ „აბერდინს" (19 თამაშიდან) და „სენტ-მირენს" (20 თამაშიდან).

### ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები.

#### ჰოლანდია

XXI ტურმა მორიგი წარმატება მოუტანა ლიდერს — ამსტერდამის „აიაქსს" — მან ანგარიშით 3:0 სძლია „ვიტეზეს". მეორე ადგილზე მყოფი „აც 67 ალკმაარი" როტერდამში შეხვდა ადგილობრივ „სპარტას" და ფრედ დასრულდა მატჩი — 3:3.

XXI ტურის შემდეგ—„აიაქსს" 34 ქულა აქვს, „აც 67 ალკმაარს" — 29, როტერდამის „ფეიენოორდს" — 28.

#### საფრანგეთი

XXIV ტურის შემდეგ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ შარშანდელი ჩემპიონი „რესინგი" (სტრასბურგი), რომელიც ლილში დამარცხდა „ოლიმპიკთან" (0:2), ფაქტიურად უკვე გამოეთხოვა თავის წოდებას. მას მხოლოდ 26 ქულა აქვს და გათამაშების ცხრილში მეექვსე ადგილზეა.

ამასობაში ლიდერებმა მორიგი გამარჯვებები იზეიმეს: „მონაკომ" ანგარიშით 2:0 ლანის „რესინგთან", ხოლო „ნანტმა" ანგარიშით 4:1 — ბორდოს „ჟირონდასთან". პირველი ადგილის კიდევ ერთმა პრეტენდენტმა „სენტ-ეტიენმა" გამოტოვა თამაში.

XXIV ტურის შემდეგ 37 ქულით პირველ ადგილზეა „მონაკო", მას 2 ქულით ჩამორჩება „ნანტი", „სენტ-ეტიენს" 34 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი აქვს. ახლა მხოლოდ ეს გუნდები იბრძვიან ჩემპიონობისთვის.

#### იტალია

XIX ტურში ლიდერი — „ინტერი", მართალია, თავის მინდორზე ფრეს (0:0) დასჯერდა „ბოლონიასთან", მაგრამ კიდევ უფრო მტკიცედ დამკვიდრდა ცხრილის სათავეში. საქმე ის არის, რომ „იუვენტუსმა" ტურინში შეძლო მეორე ადგილზე მყოფი „მილანის" დამარცხება — 2:1.

დანარჩენი შეხვედრები: „აველინო" — „კატანძარო" 2:0, „პერუჯა" — „ლაციო" 0:0, „რომა" — „ნაპოლი" 0:0, „ასკოლი" — „პესკარა" 3:1, „ფიორენტინა" — „ტორინო" 1:0, „კალიარი"— „უდინეზე" 3:1.

ამრიგად, XIX ტურის შემდეგ „ინტერს" 27 ქულა აქვს, „მილანს" — 22, „იუვენტუსს", „პერუჯას", „აველინოსა" და „რომას" — 21-21 ქულა.

#### ესპანეთი

XIX ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ბასკების უძლიერესი გუნდები — „რეალი" (სან-სებასტიანი) და „ატლეტიკი" (ბილბაო). ანგარიშით 4:0 გაიმარჯვა „რეალმა". ამასობაში მადრიდის „რეალი" შეხვდა თავისივე ქალაქის „რაიო ვალეკანოს" და გაიმარჯვა ანგარიშით 7:0.

სხვა მატჩები: „ესპანიოლი" (ბარსელონა) — „მალაგა" 1:1, „ბურგოსი" — „სევილია" 1:0, „სპორტინგი" (ხიხონი)—„ატლეტიკო" (მადრიდი) 0:0, „ჰერკულესი" (ალიკანტე) — „უნიონი" (ლას-პალმასი) 1:0, „სალამანკა" — „ვალენსია" 1:1, „ბეტისი" (სევილია) — „ბარსელონა" 2:1, „რეალი" (სარაგოსა) — „ალმერია" 0:0.

#### საბერძნეთი

XIX ტურის შემდეგ რამდენიმე გუნდი იბრძვის ჩემპიონის წოდებისთვის. 28 ქულით ლიდერობს სალონიკის პაოკ-ი. მას 2 ქულით ჩამორჩება პირეოსის „ეთნიკოსი", სამით — პირეოსის „ოლიმპიაკოსი" და სალონიკის „არისი". იმედს არც ათენის გუნდები აეკ-ი და „პანათინაიკოსი" კარგავენ. მათ 23-23 ქულა აქვთ. საინტერესოა, რომ „პანათინაიკოსში" თამაში დაიწყო ბუენოს-აირესის „ბოკა ხუნიორსის" გამომყვანმა ცენტრფორვარდმა როხამ.

რედაქტორი ა. ბასილაია.

**19-24 თებერვალი**

ზედა ეწერის (ზუგდიდის რაიონი) მეურნეობა-ტექნიკუმის სპორტული დარბაზი.

**ფრენბურთი**

**სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭოს ზონალური პირველობა.**

უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში მონაწილეობენ ზუგდიდის, ლანჩხუთის, მახარაძის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ხობის, აბაშის, ცხაკაიას, მესტიის, ტყიბულისა და ცაგერის რაიონის ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 12 ს.

**19-24 თებერვალი**

ქალაქ გორის სპორტსკოლის დარბაზი

**ფრენბურთი**

**სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" ცენტრალური საბჭოს ზონალური პირველობა.**

უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში იასპარეზებენ გორის, ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის, ბორჯომის, მცხეთის, ხაშურის, ქარელის, კასპის, დუშეთის, თიანეთის, ყაზბეგის და გარდაბნის რაიონების ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 12 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 02054